უფასოდ

სსსრ განათლების სახალხო
კომისარიატის ბრძანებათა და
განკარგულებათა

# კრებული

№ 7 ივლისი 1940 წ.

F-171
1940

F-441

## შინაარსი

1. ბრძანება № 2157—ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობის შესახებ თბილისში . . . . . . . . . . . . . . . . 2
2. ბრძანება № 2664—ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ რაიონულ ქსელში 3
3. ბრძანება № 2666—სოფლად სასკოლო მშენებლობის შესახებ . . . . . . . . . . . . 5
4 ბრძანება № 2659—1939/40 სასწ. წლის წლიური შემოწმებითი გამოცდების მიმდინარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 6
5. ბრძანება № 2670—საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 9
6. ბრძანება № 2078—1940/41 სასწავლო წლისათვის საქ. სსრ დაწყებითი, ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლათათვის სასკ. დოკუმენტების დაბეჭდვა-გამოცემის შესახებ . . . . . 11
7. ბრძანება № 2079—წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სკოლამდელი ფაკულტეტის სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილებასთან გადატანის შესახებ . . . . 12
8. დადგენილება – განათლების დარგის 1939 წლ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ამოცანების შესახებ . 13
9. ცირკულარულად—ავტონომიურ რესპ. განსახკომებს და ავტ. ოლქის განათლების განყოფილებას, ყველა რაიონის განათლ. განყოფილებებისა, საკლუბო და სამუზეუმო დაწესებულებათა გამგეებს . . . . . . . . . . 18

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

განსახკომი
თბილისი—1940

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2137

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 13 ივნისი.**

### ქ. თბილისში, ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობის შესახებ

თბილისის სკოლებში ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობის შემოწმებამ დაადასტურა, რომ რიგი სკოლების (მე-47, 100, 106, I, 32 და სხვ.) დირექტორები სრული უპასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს, ზოგიერთი მათგანი (მე-47 საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგე ამხ. სალტიკოვა, მე-106 საშ. სკ. დირექტორი ამხ. მაქსიმოვი) ჯერაც არ იცნობს განსახკომის ბრძანებასა და ინსტრუქციას ამ დარგში, არ გაუშლიათ მუშაობა მშრომელთა შორის, არ დაუმუშავებიათ საკითხი პედსაბჭოს სხდომაზე, არ ჩაუტარებიათ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსწავლეთა შორის სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ნივთებისადმი მოპყრობისა და მოვლის შესახებ, თითოეულ კლასამდე არ დაუყვანიათ შესყიდვის გეგმები, სუსტად ეხმარებიან სახელგამის წარმომადგენლებს შესყიდვის მოწესრიგებაში და სხვ.

ნახმარი /სტაბილური/ სახელმძღვანელოების შესყიდვაში ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და შესყიდვის გეგმის დროულად შესრულების მიზნით ვბრძანებ:

1. წინადადება მიეცეს ქ. თბილისის რაიგანათგანყოფილებათა გამგეებს შეისწავლონ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობა რაიონის ცალკეულ სკოლებში და საკითხი ზოგიერთი სკოლის სუსტი მუშაობის შესახებ გადაიტანონ რაიონული საბჭოს პრეზიდიუმზე განსახილველად .

2. დაევალოს სახელგამს ყოველ 5 დღეში მომაწოდოს ცნობები უფროსი კლასების სახელმძღვანელოთა შესყიდვის მიმდინარეობის შესახებ და ყოველ მაღაზიაზე გააპიროვნოს პასუხისმგებელი მუშაკი, მაღაზიებისადმი პრაქტიკული დახმარების გაძლიერების მიზნით.

3. დაევალოს გან. განყ. გამგეებს პირადად უხელმძღვანელონ სკოლების მუშაობას ამ დარგში და ყოველგვარი ზომები მიიღონ გეგმის 100%-ით შესრულებისათვის.

4. ვინაიდან ზოგ სკოლებში (I, XII) ადგილი აქვს არარეალური გეგმის მიცემას, ამიტომ წინადადება მიეცეს სახელგამის სავაჭრო სამმართველოს უფროსს ამხ. ხარაზიანს შეამოწმოს ცალკეულ სკოლებზე მიცემული სახელმძღვანელოთა შესყიდვის გეგმები, მისი დაზუსტების მიზნით.

5. მიეთითოს მე-106 სკოლის დირექტორს ამხ. მაქსიმოვს და მე-47 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. სალტიკოვას, სახელმძღვანელოთა შესყიდვის სუსტი ორგანიზაციისა და გეგმის დროულად შეუსრულებლობისათვის. დაევალოს მათვე ეს საკითხი განმეორებით დაამუშაონ პედსაბჭოს სხდომაზე და მიიღონ გადამჭრელი ზომები მათზე

მიცემული გეგმის შესრულებისათვის.

6. დაევალოს ქ. თბილისის სკოლის დირექტორებს განიხილონ ეს ბრძანება პედსაბჭოს სხდომებზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი მათზე მიცემული გეგმის დროზე შესრულებისათვის.

7. დაევალოს სახელგამის სავაჭრო სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ამ. გვასალიას და მ. ხუნდაძეს ა/წ 10 ივნისისათვის წარმოადგინონ მოხსენება სარაიონო ქსელში ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობის შესახებ.

**საფუძველი:** საქ. განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 1-ივნისის დადგენილება.

**განათლების სახალხო კომისარი**

**გ. კიკნაძე**

# ბრძანება № 2664

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 29 ივნისი.**

### ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ რაიონულ ქსელში.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვა რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს (მახარაძე, ცხაკაია, სიღნაღი, ბათუმი თელავი, ქუთაისი და სხვა), ხოლო ზოგიერთ რაიონებში კი თითქმის ჩაშლილია (სამტრედია, წულუკიძე, ჭიათურა, ჩოხატაური, წალკა, ლაგოდეხი, გურჯაანი და სხვა), არადამაკმაყოფილებელია მდგომარეობა, როგორც რაიონის ცენტრებში (სახელგამის ქსელში — შესრულებულია 51,9%), ისე სოფლადაც (ცეკავშირს თავის ქსელის მიხედვით გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ცნობები ჯერაც არ მოეპოვება). შესყიდვის მიმდინარეობა განსაკუთრებით ჩამორჩება ცეკავშირის სამოქმედო რაიონებში.

ეს მდგომარეობა აიხსნება ერთის მხრივ სახელგამისა და ცეკავშირის, ხოლო მეორეს მხრივ განათლების ორგანოების არადამაკმაყოფილებელი მუშაობით, ცეკავშირის ხაზით მთელ რიგ რაიონებში დაგვიანებით იქნა დაყვანილი სათანადო გეგმები და პრეისკურანტი (მცხეთა, ჩოხატაური, გორი, ლანჩხუთი), რაიკოოპკავშირებმა კი დროულად ვერ დაიყვანეს გეგმები ცალკეულ სკოლამდე. განათლების განყოფილებები (ჩოხატაური, კასპი, გორი), დაკმაყოფილდნენ მხოლოდ სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირის მოწვევით. არ დაეხმარენ ადგილობრივ რაიკოოპკავშირს სკოლებამდე გეგმის დროულად დაყვანაში, არ შეუმოწმებიათ ინსპექტორების საშუალებით, თუ როგორ გაშალა ცალკეულმა სკოლამ მუშაობა ამ ხაზით; ზოგიერთი სკოლის სრული უმოქმედობის შესახებ არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები, საკითხი არ დაუსვამთ რაიონული აღმასკომების პრეზიდიუმის სხდომებზე (ჩოხატაური, გორი, წალკა, მცხეთა, ჭიათურა, ლაგოდეხი, სიღნაღი, გურჯაანი, და სხვა), რის შედეგაც სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმე გარდა რამდენიმე რაიონისა (ლანჩხუთი, ფოთი, ხორაგოული, ტყიბული, დუშეთი), სამარცხვინოდ ჩამორჩენილია.

ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოე-

ბის შესყიდვის საქმეში არსებული გარღვევის ლიკვიდაციისა და დაშვებული გეგმის მთლიანად შესრულების უზრუნველსაყოფად ვბრძანებ:

1. წინადადება მიეცეს სახელგამის სავაჭრო სამმართველოს (ამხ. ხარაზიანს და გვასალიას) დაუყოვნებლივ მიავლინონ ჩამორჩენილ რაიონებში პასუხისმგებელი მუშაკები ადგილებზე კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით და ათი დღის ვადაში წარმოადგინონ მოხსენება სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულების შესახებ.

2. რესპუბლიკის ყველა რაიონში მივლინებულ იქნენ განათლების კომისარიატის, დაწყებითი და საშუალო სკოლის კვლევითი ინსტიტუტის და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკები ადგილებზე პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

3. დაევალოს თბილისის განათლების განყოფილებას (ამხ. ა. გიორგაძეს) მოიწვიოს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების თათბირი, სახელგამთან ერთად თბილისის რაიონების მიხედვით და დასახონ სათანადო ღონისძიებანი სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში არსებული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

4. თბილისის ყველა სკოლაზე მიმაგრებულ იქნეს განათ. კომისარიატის, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, თბილისის განგანყოფილებისა და თბილისის მეთოდკაბინეტის ყველა მეთოდისტი სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობის შემოწმებისა და სკოლებისადმი ამ საქმეში პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით.

5. წინადადება მიეცეს ყველა განათლების განყოფილების გამგეს დაუყოვნებლივ შეამოწმოს რაიონის სკოლებში ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მიმდინარეობა და ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის მიიღოს გადამჭრელი ზომები.

6. დაევალოს ჩოხატაურის, ჭიათურის, წულუკიძის, გორის, სამტრედიის, ბორჯომის, ლაგოდეხის რაიგან. განყოფილებათა გამგეებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ წერილობითი ახსნა-განმარტება სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში ჩამორჩენის მიზეზების და მათ მიერ დასახულ ღონისძიებათა შესახებ.

7. დაევალოს გან. განყოფილების გამგეებს ცეკავშირისა და სახელგამის ქსელის ადგილებზე სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში სუსტი მუშაობის შესახებ საკითხი დაუყოვნებლივ დასვან ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე.

8. ვაფრთხილებ ყველა გან. განყოფილების გამგესა და სკოლის დირექტორებს (გამგეებს) რომ ისინი უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან ძველი, ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულებაში.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წლის 2 ივნისის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2666

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 29 ივნისი.**

## სოფლად სასკოლო მშენებლობის შესახებ

გავეცანი რა მასალებს სოფლად სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, აღვნიშნავ, მიუხედავად იმისა, რომ 1940 წელში სოფლად სასკოლო მშენებლობა თავის დროზე იყო უზრუნველყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მასალებით. მშენებლობის დაფინანსების გეგმა დროულად იქნა განსახკომის მიერ რაიონებამდე დაყვანილი; აგრეთვე ა. წ. 5 აპრილს მოწვეული იყო სკოლების მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა რესპუბლიკური თათბირი, სადაც დამუშავებულ იქნა სოფლად სასკოლო მშენებლობის გეგმები და ამოცანები—მიუხედავად ამისა—მშენებლობა, მაინც მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

აფხაზეთის და აჭარის ავტ. სსრ განსახკომებმა, ს. ოსეთის ოლქის განათ. განყ. გამგემ და რაიგანათლების განყოფილების გამგეებმა ვერ მოიყვანეს სისრულეში საქართველოს სახკომსაბჭოს ა. წ. 20/III— დადგენილება და ვერ უზრუნველჰყვეს სასკოლო მშენებლობა ადგილობრივი საშენი მასალით (აგური, კირი, კრამიტი და სხვ.), ტრანსპორტითა და მუშა ხელით.

ვსცნობ რა არსებულ მდგომარეობას დაუშვებლად, ვბრძანებ:

1. აფხაზეთის და აჭარის განსახკომებმა, ს. ოსეთის ოლქის გან .განყ. გამგემ და რაი განათლების განყ-ბის გამგეებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ მშენებლობაზე ტემპების გასაძლიერებლად და მშენებლობის საქმეში მეტი ყურადღების ხელმძღვანელობის და დახმარების გასაწევად: ადგილობრივი საშენი მასალით, ტრანსპორტით და მშენებლობის მუშა-ხელით უზრუნველყოფით, მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის გეგმიან გამოყენებით, სოცშეჯიბრების და მუშაობის სტახანოვური მეთოდების ფართოდ გაშლით და სხვ., შედეგი ყოველ კვირაში აცნობონ განსახკომს.

2. დაევალოს განსახკომიდან რაიონში მივლინებულ ამხანაგებს ადგილზე გამოარკვიონ სასკოლო მშენებლობის ადგილობრივი მასალით (აგური, კირი, კრამიტი,) მოუმარაგებლობის მიზეზები, მიიღონ კონკრეტული ზომები ადგილობრივ ორგანიზაციებში საკითხის დასმით და შედეგი მომახსენონ მე.

3. სასკოლო მშენებლობის სამმართველომ მიამაგროს ჩამორჩენილ რაიონებს ინჟ. ინსპექტორები დახმარების აღმოსაჩენად და ყოველ დეკადის ბოლოს მომახსენოს მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 2 ივნისის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2669

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 29 ივნისი.**

## 1939/40 სასწავლო წლის წლიური შემოწმებითი გამოცდების მიმდინარეობის შესახებ.

წლიური შემოწმებითი გამოცდების მიმდინარეობის შემოწმებამ დაადასტურა, რომ მიმდინარე წელს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლები უფრო მომზადებულად შეხვდნენ სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრებისა და შემოწმებითი გამოცდების ჩატარების საქმეს. განსახკომის მიერ დროულად (აპრილში) იქნა დაშვებული ინსტრუქცია მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადასაყვანი და წლიური შემოწმებითი გამოცდების ჩატარების შესახებ. სკოლების დიდმა უმრავლესობამ ეს ინსტრუქცია დროულად დაიყვანა თითოეულ მასწავლებელსა, მოსწავლესა და მშობლებამდე, რამაც უზრუნველჰყო გამოცდებისათვის წინასწარი სამზადისის დროულად ჩატარება და გამოცდებზე მოსწავლეთა მთლიანად და მომზადებულად გამოცხადება. წლიური შემოწმებითი გამოცდებისათვის საუკეთესოდ მომზადებისა და გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველყოფის საქმეში კარგი მუშაობით გამოირჩევიან: ცხაკაიას რაიონის: 1 საშ. სკოლა (დირ. წულაია) და ნოსირის საშ. სკოლა (დირექტორი გვასალია), ბათუმის II პედსასწავლებელი (დირექტორი ს. ვარამანიძე), ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა (დირექტორი ს. დადუნაიშვილი), თელავის საშ. სკოლა (დირექტ. მატარაძე), ქვემოს (თელავის რ.) არასრული საშ. სკოლა (დირექტორი პეტრიაშვილი), თბილისის მე-18 საშ. სკ. (დირექტ. ქაჯაია).

ასეთი მუშაობის ჩატარების შედეგად მოსწავლეები უკლებლივ გამოცხადდენ გამოცდებზე და ცალკე სასწავლო დისციპლინებში საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნეს. ასე, მაგალითად, მახარაძის რაიონის საშუალო სკოლებში მე-10 კლასის 315 მოსწავლე გამოცხადდა გამოცდებზე, მათგან ქართულ ლიტერატურაში საგამოცდო წერითი მუშაობა „ფრიადზე“ შეასრულა 40 მოსწავლემ, „კარგზე“—68, „საშუალოზე—187. ჩოხატაურის რაიონის 5 საშუალო სკოლის მე-10 კლასის 160 მოსწავლე იყო გამოცდაზე დაშვებული. გამოცდაზე ავადმყოფობის გამო, ვერ გამოცხადდა 2 მოსწავლე, 158 მოსწავლიდან თემები „ფრიადზე“ დასწერა 45 მოსწავლემ, „კარგზე“,—45 და „საშუალოზე“—68.

თელავის საშუალო სკოლის მე-10 კლასის 25 მოსწავლიდან თემა „ფრიადზე“ დაწერა 12, „კარგზე“—8 და „საშუალოზე“,—5. ახმეტას საშუალო სკოლის მოსწავლეები საუკეთესოდ პასუხობდნენ დასმულ კითხვებზე.

თბილისის სომხურ პედსასწავლებლებში გამოსაშვებ მე-3 კლასში გამოცდაზე გამოცხადდა 30 მოსწავლე. ამათგან ალგებრაში წერითი გამოცდა შეასრულა „ფრიადზე“—8 მოსწავლემ, „კარგზე“—13 და „საშუალოზე“—8, „ცუდზე“—1 და ა. შ.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად წლიური შემოწმებითი გამოცდების ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს

და დამახინჯებებს; მთელ რიგ სკოლებს არ ჰქონდა მოფიქრებულად და წესიერად შედგენილი გამოცდების ჩატარების ცხრილი (ბაკურიანის საშ. სკოლა, ავნევის საშ. სკოლა, ხორშის საშ. სკოლა, გეგუთის საშ. სკოლა, ცხაკაიას მე-3 საშ. სკ. და სხვა).

საგამოცდო ცხრილში შეტანილი იყო არასაგამოცდო საგნები, რასაც არევ-დარევა შეჰქონდა გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების საქმეში (ზუგდიდის, ცაგერის, ჩხაროის, წყალტუბოს რაიონები).

ზოგი მასწავლებლისა და დირექტორის უპასუხისმგებლობის შედეგად, საგამოცდო ბილეთები უხეიროდ იქნა შედგენილი. ბილეთებში დასმული საკითხები არ იყო ნათელი, ამომწურავი და გასაგები მოსწავლისათვის, რამაც ხელი შეუშალა მოსწავლეთა ცოდნის გამომჟღავნების საქმეს. საგამოცდო ბილეთები და საწერი თემები დირექტორის მიერ ზოგიერთ სკოლაში დამტკიცებულიც არ იყო 20 მაისისათვის. ზოგ მასწავლებელს სრულიად არ ჰქონდა შედგენილი ბილეთები თავის საგანში, ზოგს კი მთელი რიგი საკითხები გავლილი მასალიდან არ შეუტანია ბილეთში, საერთოდ ბილეთები მეტად უყურადღებოდ და უპასუხისმგებლოდ იყო შედგენილი მთელი რიგი რაიონის სკოლებში (ბაკურიანის საშ. სკოლა, ონის რ. უწერის დაწყ. სკ., ზემო-სიმონეთის საშ. სკ., ძევრის ა/სრ. საშ. სკოლა, ზუგდიდის 1 მაისის საშ. სკოლა, კასპის საშ. სკოლა, თელავის საშ. სკოლა, სტალინირის ქართული და ოსური საშუალო სკოლები, წითელ წყაროს, ჩხაროის, წალკის, ქუთაისის და მაიაკოვსკის საშ. სკოლები).

გარდა აღნიშნული დეფექტებისა, გამოცდების მიმდინარეობის პერიოდში ადგილი ჰქონდა მოწაფეთა ცოდნის შეფასებისადმი თვალის ახვევისა და ლიბერალიზმის ცდებს.

იყო შემთხვევები, რომ მასწავლებელმა პედსაბჭოს დადგენილების შემდეგ მოსწავლეებს გადაუსწორა ნიშნები (გორის რ. სკრის ა/სრ. საშ. სკ.), (დირექტორის მიერ დამტკიცებული საგამოცდო ბილეთები წინასწარ გააცნო მოსწავლეებს და ამით ჩაშალა გამოცდები (გორის რ. ფლავის ა/სრ. საშ. სკ.), ქ. თბილისის მეორე საშუალო სკოლის მე-10 კლ. მოსწავლეებმა ქიმიის საგამოცდო ბილეთებზე პასუხები გამოცდის წინა დღით დაამზადეს. წალკის რაიონის ჯინისის საშ. სკოლის მე-4 კლასში რუსულ ენაში ორჯერ ჩაატარეს გამოცდები პირველ საგამოცდო წერის დროს ტექსტი შეიცავდა 120 სიტყვას, მოსწავლეებმა, ძალზე ბევრი შეცდომა დაუშვეს და „ცუდი" შეფასება მიიღეს. იმ მიზნით, რომ „ცუდი" ნიშნის რაოდენობა შეემცირებიათ, ნაწერი გააუქმეს და გამოცდა წერაში მეორეჯერ ჩაატარეს. კარნახის ტექსტის სიტყვათა რაოდენობა 70-მდე დაიყვანეს. მოსწავლეებმა ნაკლები შეცდომა დაუშვეს და უმრავლესობამ „საშუალო" შეფასება მიიღო. ადიგენის რაიონას ზანავის საშუალო სკოლის აზერბ. ენის მასწავლებელმა ახუნდოვმა მე-4 კლასის მოსწავლის საგამოცდო წერითი ნამუშევარი შეაფასა „კარგზე" როცა იგი შესრულებული იყო „ცუდზე". მათემატიკის მასწავლებელმა ბაიროვმა ისეთი საგამოცდო წერითი ნამუშევრები შეაფასა „ფრიადზე", რომლებიც რამდენიმე შეცდომას შეიცავდა, ქუთაისის და მაიაკოვსკის ზოგ საშ. სკოლაში 5-6 ცუდი ნიშნის მქონე მოსწავლეები იქნენ დაშვებული გამოცდებზე და სხვ.

მთელ რიგ განათლ. განყ. გამგის, სკოლის დირექტორის და მასწავლებლის უვარგისი მუშაობის შედეგად, ზოგ საგნებში სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამა სასწავლო წლის დასასრულისათვის შეუსრულებელი დარჩა (ჩხაროის რ. ზ-სიმონეთის საშ. სკოლა, ონის ზუგდიდის, კასპის, წალკის, ბორჯომის, ადიგენის, გორის, ლანჩხუთის და სხვა რაიონების საშ. სკ.).

ზოგი სკოლის მოსწავლეები ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში ძალზე დაბალ ცოდნას ამჟღავნებდნენ. მოსწავლეები ვერ ერკვეოდნენ ელემენტარულ საკითხებში გეოგრაფიასა და ფიზიკაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (კასპის საშ. სკოლა, მახარაძის რაიონის, შემოქმედის საშუალო სკოლა, წყალტუბოს საშ. სკოლა, ორჯონიკიძის

რ. მოლითის საშუალო სკოლა, თელავის პედსასწავლებელი და სხვა).

ეს გარემოება აიხსნება სკოლისა და სათანადო საგნების მასწავლებელთა სუსტი მუშაობით.

განსახკომის ინსპექტორებმა, გამოცდების მიმდინარეობის დროს ადგილებზე დახმარება აღმოუჩინეს დირექტორებს და მასწავლებლებს გამოცდების სწორად წარმართვის საქმეში და ამჟამად ზემოაღნიშნული დეფექტები ძირითადად გამოსწორებულია.

წლიური შემოწმებითი გამოცდების შედეგების დროულად შეჯამებისა და საშემოდგომო გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად ვბრძანებ:

1. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) გულდასმით შეაჯამონ წლიური შემოწმებითი გამოცდების შედეგები ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით და 30 ივნისამდე წარუდგინონ განათლების განყოფილებას.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლებს გაუწიონ კონკრეტული ხელმძღვანელობა წლიური შემოწმებითი გამოცდების შედეგების ხარისხოვნად შეჯამების საქმეში და უზრუნველჰყონ შედეგების მასალებით დროზე შეგროვება და განსახკომის მიერ მოთხოვნილი ფორმის მიხედვით დაჯამებული მასალების განსახკომში გადმოგზავნა არაუგვიანეს 5 ივლისისა.

3. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) ჩაატარონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას საშემოდგომო გამოცდებზე გამოცდამიცემულ მოსწავლეთა უკლებლივ მომზადებულად გამოცხადება.

4. სკოლის მიერ შედგენილი საშემოდგომო გამოცდების ცხრილის მიხედვით უზრუნველჰყონ გამოცდების ორგანიზებულად ჩატარება.

5. არ დაუშვან საშემოდგომო გამოცდების დროს სახელმწიფო სასწავლო პროგრამის გვერდის ახვევა და მოსწავლეებისადმი შემცირებულ მოთხოვნილებათა წაყენება. დირექტორებმა (გამგეებმა) გამოცდების დროს მოსწავლეებს შეუქმნან ნორმალური პირობები, რათა შესაძლებლობა მიეცეს მათ ცოდნის სრული გამომჟღავნებისა და აღკვეთონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში ლიბერალური განწყობილება.

6. განათლების განყოფილებებმა სკოლებს გაუწიონ ხელმძღვანელობა საშემოდგომო გამოცდების სწორად ჩატარების საქმეში და დამახინჯების შემთხვევაში მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად.

7. განათლების განყოფილებათა გამგეებმა საშემოდგომო გამოცდების შედეგები წარმოადგინონ განსახკომში არა უგვიანეს 20 სექტემბრისა.

8. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ქ. თბილისის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელ კონტავას თბ. საბჭოს გან. განყოფილების მიერ უკვე დაედო სასჯელი.

9. დაევალოს გან. განყოფილებათა გამგეებს დაადონ სათანადო სასჯელი სკოლის იმ დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს და მასწავლებლებს, რომლებმაც უხეშად დაარღვიეს განსახკომის ინსტრუქცია წლიური შემოწმებითი გამოცდების ჩატარების შესახებ და დაუშვეს ზემოთ აღნიშნული დამახინჯებანი.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 16 ივნისის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 2670

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1940 წლის 29 ივნისი.

### საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ.

გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის უნაკლოდ გატარების საქმეში, გასულ წელთან შედარებით, მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული.

თუ 1938/39 სასწ. წლის პირველ ნახევარში მოსწავლეთა განთესვას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, 1939/40 სასწ. წლის პირველ ნახევარში იგი საგრძნობლად შემცირებულია. ასე მაგალითად, გასული წლის პირველ ნახევარში ვანის რაიონში განთესილი იყო 251 მოსწავლე, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში განითესა 50 მოსწავლე, წითელ წყაროს რაიონში 1938/39 სასწ. წლის 1 ნახ. განთესილი იყო 236 მოსწავლე, 1939/40 სასწავლო წლის 1-ლ ნახევარში განთესილთა რაოდენობა 39-მდე დავიდა, ხოლო სასწავ. წლის III მეოთხედის ბოლოს კი განთესილთა რიცხვი იყო 15. ზესტაფონის რაიონში 1938/39 სასწ. წლის 1 ნახევარში განთესილი მოსწავლეები მთლიანად ჩაბმული იქნენ სკოლებში და შენარჩუნებული წლის ბოლომდე. ასეთივე მდგომარეობაა ჩოხატაურის, ჩხარის, ტყიბულის და სხვა რაიონებში. მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში მოგვეპოვება სერიოზული ნაკლოვანებანი:—მოუწესრიგებელია სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, ზოგ რაიონში აღრიცხვა ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამო მიღებული ცნობები არ არის ზუსტი და სწორი. ხშირად, რაიგანათლების განყოფილებათა გამგეები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მოსწავლეთა აღრიცხვის საქმეს. განსახკომის ინსტრუქციის თანახმად, განათლების განყოფილებების ხელმძღვანელობით 1 სექტემბრისათვის სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა და განთესილ მოსწავლეთა აღწერა, სიების დაზუსტება და მასალების განათლების განყოფილებაში გადაგზავნა სკოლებს უნდა დაემთავრებიათ 1 ივნისამდე.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ მთელი რიგი რაიონების გან. განყოფილებებს (ქუთაისის, მაიაკოვსკის, ადიგენის) და სკოლებს ეს სამუშაო არ ჩაუტარებიათ, ზოგ რაიონში მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულისათვის მოსწავლეთა თვალსაჩინო რაოდენობა სკოლაში ჩაუბმელი აღმოჩნდა.

ასე, მაგალითად, 1939/40 სასწ. წლის 1 ნახევრისათვის სკოლის გარეთ დარჩენილია: ლიუქსემბურგის რაიონში—121 ბავშვი, ბაშკიჩეთის რაიონში—123 ბავშვი, ლაგოდეხის რაიონში 118 ბავშვი, ყვარლის რაიონში—221 ბავშვი, წყალტუბოს რ. — 144 ბავშვი, ჭიათურის რ.—181 ბავშვი, ასპინძის რ.—358 ბავშვი, კასპის რ—530 ბავშვი, დუშეთის რაიონში—309 ბავშვი. ასეთივე ცნობებს იძლევა დუშეთის, ქუთაისის, მაიაკოვსკის და სხვა რაიონები.

ამგვარად სკოლების და განგანყოფილებების მიერ მოწოდებული ცნობები არ იძლევა სრულ სურათს სკოლის გარეთ დარჩენილ და განთესილ მოსწავლეთა შესახებ.

სკოლის ასაკის ბავშვთა აღწერის დროს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ბავშვის წლოვანების დადგენას, არ ამოწმებენ მეტრიკულ ამონაწერს, რის შედეგად ხშირად აღრიცხვაზე აყვანილი სკოლამდელი ასაკის ბავშვი შემდეგ ვერ ერევა სასწავლო დისციპლინებს და იძულებული ხდება დატოვოს სკოლა (მაგ. ვანის ა/სრ. საშ. სკოლა).

ზოგი სკოლა და განათლ. განყოფილება გულგრილად ეკიდება მოსწავლის მიერ სკოლის მიტოვებას, არ ირკვევს მოსწავლის სკოლიდან წასვლის მიზეზს, არ ზრუნავს მის სკოლაში დაბრუნებაზე.

არის შემთხვევა, რომ სასწ. წლის მე-4 მეოთხედში აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლეები გაურბიან სკოლას. ისინი ურიგდებიან მეორე წელს იმავე კლასში დარჩენის აზრს და ყოველგვარი ცნობის გარეშე სტოვებენ სკოლას (მაგ. მახარაძის რაიონის ზვანის ა/სრ. საშ. სკოლა, ცხემლის ხიდის საშ. სკოლა, თელავის რ. გორკის სახელობის საშუალო სკოლა, ქ. ქუთაისის I საშ. სკოლა და სხვა). მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს სხვა რაიონებშიაც, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები კმაყოფილდებიან მარტო ფაქტის აღნიშვნით და არ ღებულობენ ზომებს ამ მოსწავლეების სკოლაში დასაბრუნებლად (თუნდაც 1 სექტემბრისათვის), რაც ზრდის განთესილ მოსწავლეთა რიცხვს.

პროცენტომანიით გატაცებული ზოგიერთი სკოლის დირექტორი, ნაცვლად იმისა, დაეხმაროს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეს სრულიად უმნიშვნელო მიზეზით რიცხავს მას სკოლიდან, იძულებულს ხდის გადავიდეს სხვა სკოლაში (მეტ ნაწილად მოზრდილთა სკოლებში), ან ე. წ. „აკადემიურ შვებულებით“, ან რაიმე მიზეზით იშორებს მას სკოლიდან (ქუთაისის რ. გეგუთის საშ. სკოლა, ოფშკვითის საშ. სკოლა, ქ. ქუთაისის მე-4 სკოლა). სკოლიდან ასე იძულებით გასული მოსწავლეები ზოგჯერ სკოლის გარედაც რჩებიან (გეგუთის საშ. სკოლა), საგარეჯოს რაიონიდან განთესილია 50 მოსწავლე, სკოლებს დაუბრუნდა—20. ყვარლის რაიონიდან განთესილია 127,—სწავლებაში ჩაება 56, ორჯონიკიძის რ. განთესილია 144 — დაბრუნდა 94 და ა. შ.

აკადემიური შვებულებით სკოლიდან მოსწავლეთა გასვლამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მაიაკოვსკის 1 საშ. სკოლიდან 13 მოსწავლეა აკად. შვებულებით გასული, რომელთაც მეოთხედების განმავლობაში ცუდი ნიშნები ჰქონდათ. ასევე ქ. ქუთაისის № 4 საშ. სკოლიდან, ყვარლის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლიდან გასულა 35 მოსწ. ასეთივე მდგომარეობაა სიღნაღის, ტყიბულის, გორის და სხვა რაიონებში.

ხშირად ზოგიერთი მშობელი შვილს უკრძალავს სკოლაში სიარულს, არ ასრულებს სკოლის დავალებებს, არ ადევნებს თვალყურს თავისი შვილის აკადემიურ წარმატებასა და ყოფა-ქცევას. მაგ. აბაშის რაიონის სუჯუნის საშუალო სკოლიდან მშობლების დაუდევრობით გავიდნენ მე-6 კლ. მოსწავლეები ძმები კილასონიები. მშობლების ჯიუტობით სიღნაღის რაიონის, ვაქირის საშ. სკოლაში არაა ჩაბმული სასკოლო ასაკის 8 ბავშვი. ყვარლის ა/სრ. საშ. სკოლიდან გასულა 3 მოსწავლე, რომელთა მშობლებზე ვერავითარმა ზომებმა ვერ იმოქმედა და საქმე გადაეცა რაიონ. სახალხო სასამართლოს. ზოგიერთი მშობლის დამოკიდებულება თავის შვილებისადმი ყოვლად დაუშვებელია. სკოლიდან გაჰყავთ მცირეწლოვანი გოგონები და აქორწინებენ მათ; მაგ. ყვარლის 1 საშ. სკოლიდან გათხოვების გამო გავიდა 2 მოსწავლე, II საშ. სკოლიდან—6, ბორჯომის რაიონის ყვიბისის საშ. სკოლიდან 2 მოსწ. მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს ბაშკიჩეთის, ვანის, აბაშის და სხვა რაიონების და თბილისის მე-40, 50 და მე-2 საშ. სკოლებში.

ეს ფაქტები იმას მოწმობენ, რომ მშობლებთან სკოლას არ ჩაუტარებია არავითარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა და არ უცდია მშობლების დაახლოვება სკოლის მუშაობასთან.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების

კანონის გატარების საქმეში არსებულ დეფექტების დროულად აღმოფხვრისა და ამ კანონის უნაკლოდ გატარების უზრუნველსაყოფად, ვბრძანებ:

1. სკოლის დირექტორებმა (გამგეებმა) განსახკომის ინსტრუქციის საფუძველზე ა/წ 20 ივლისამდე დაამთავრონ 1 სექტემბრისათვის სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა და განთესილ მოსწავლეთა ზუსტი აღრიცხვა და უზრუნველჰყონ მათი მთლიანად სკოლაში ჩაბმა.

2. განათლების განყოფილებებმა სისტემატურად შეამოწმონ ცალკე სკოლების მიხედვით სკოლაში ჩასაბმელ ბავშვთა და განთესილ მოსწავლეთა აღრიცხვის მდგომარეობა და მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში მთლიანად ჩაბმის უზრუნველსაყოფად.

3. ვინაიდან ადგილი აქვს ცუდი წარმატების შედეგად იმავე კლასში დატოვებული (მეორე წლიანობის) მოსწავლეების სექტემბერში სკოლაში გამოუცხადებლობას, განათლების განყოფილებათა გამგეებმა და სკოლის დირექტორებმა ამთავითვე მიიღონ გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, მათი სკოლიდან ჩამოშორების თავიდან ასაცილებლად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სექტემბრის პირველ რიცხვებში მოიწვიონ დირექტორების (გამგეების) და მშობელთა კომიტეტების თათბირი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის უნაკლოდ გატარების უზრუნველსაყოფად.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეამოწმონ სკოლებში მოსწავლეთა გამოცხადების მდგომარეობა და არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიიღონ გადამჭრელი ზომები მათ სკოლაში მისაზიდავად.

6. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველომ ა/წ 7 სექტემბრამდე ჩაატაროს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგები მოახსენოს კოლეგიას.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 2 ივნისის დადგენილება.

**საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

# ბრძანება № 2078

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 7 ივნისი**

### 1940/41 სასწავლო წლისათვის საქ. სსრ დაწყებითი, ა/სრ. საშუალო და საშუალო სკოლისათვის სასკოლო დოკუმენტების დაბეჭდვა-გამოცემის შესახებ.

1940/41 სასწავლო წლისათვის სასკოლო დოკუმენტებით უზრუნველსაყოფად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 1940/41 სასწავლო წლისათვის გამოსაცემად შემდეგი სასკოლო დოკუმენტები:

ა) საკლასო ჟურნალი ქართულ-რუსულ ენაზე—40.000 ცალის რაოდენობით;

ბ) მოსწავლეთა აკადემიური წარმატების სააღრიცხვო ჟურნალი ქართულ-რუსულ ენაზე (თვითეული კლასისათვის ცალკე) 40.000 ცალად;

გ) სკოლის დღიური — ქართულ-რუსულ ენაზე—5000 ცალად;

დ) მოსწავლის პირადი საქმე—ქართულ-რუსულ ენაზე—500.000 ც.;

ე) მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობები:

ქართულ ენაზე—468.000 ცალად, რუსულ ენაზე—86.000 ცალად, სომხურ ენაზე — 6560 ც. აზერბაიჯანულზე—40.000 ცალად, აფხაზურ ენაზე — 7300 ცალად და ოსურ ენაზე—28.600 ცალად.

2. საკლასო ჟურნალისა და მოსწავლის პირადი საქმის რედაქტორად გამოყოფილ იქნას ამხ. ბ. კიზირია, სკოლის დღიურისა და მოსწავლის აკად. წარმატების სააღრიცხვო ჟურნალის რედაქტორად ამხ. პ. კობახიძე, ხოლო მოსწავლის დღიურისა და მოსწავლეთა აკადემიური წარმატების აღრიცხვისა და კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობებისა—ამხ. გ. სარიშვილი.

3. დაევალოს სახელგამს ა. წ. 10 აგვისტომდე უზრუნველჰყოს ზემოაღნიშნულ დოკუმენტების სათანადო ტირაჟებით დაბეჭდვა და ადგილებამდე მათი დროულად დაყვანა.

4. სასკოლო დოკუმენტების დადგენა-დამზადებისა და მათი დაბეჭდვის მიმდინარეობის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს ამხ. ბ. კიზირიას.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 1 ივნისის დადგენილება.

**განათლების სახ. კომისარი**

**გ. კიკნაძე**

---

# ბრძანება № 2079

## განათლების სახალხო კომისარიატისადმი

**1940 წლის 7 ივნისი.**

წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სკოლამდელი ფაკულტეტის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილებასთან გადატანის შესახებ.

1. იმის გამო, რომ წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სკოლამდელი ფაკულტეტი არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციურ ლექტორთა შემადგენლობით და ძნელდება მისი დაკომპლექტება სტუდენტებით, მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი აღნიშნული ფაკულტეტის გადატანა სტუდენტთა შემადგენლობით და სათანადო საბიუჯეტო ხარჯებით სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილებასთან, სადაც შედარებით შესაფერისი კვალიფიკაციის პედაგოგიური ძალებიც მოიპოვება და სტუდენტებით დაკომპლექტებაც უზრუნველყოფილი იქნება.

2. დაისვას საკითხი სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებულ უმაღლეს სკოლის საქმეთა საკ. კომიტეტის წინაშე, აღნიშნული გადაწყვეტილების დადასტურების შესახებ.

3. დაევალოს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელ პედაგოგიურ განყოფილების გამგეს ამხ. ს. სიგუას დაუყოვნებლივ გაშალოს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა სკოლამდელი ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებით დაკომპლექტების უზრუნველსაყოფად.

4. დაევალოს წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის დირექციას უზრუნველყოს სკოლამდელი ფაკულტეტის სტუდენტთა საზაფხულო სესიების ნორმალურად ჩატარება, თანახმად განსახკომის ა/წ 25 მაისის № 1916 ბრძანებისა.

**საფუძველი:** საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1940 წ. 1 ივნისის დადგენილება.

**განათლების სახ. კომისარი.**

**გ. კიკნაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომებისა, ავტ. ოლქისა და რაიონული (ქალაქის) საბჭოების აღმასკომის განათლების განყოფილებათა რესპუბლიკური თათბირისა.

### განათლების დარგის 1939 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ამოცანების შესახებ

განიხილა რა საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსის ამხ. პ. კობახიძის მოხსენება—განათლების დარგის 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების ამოცანების შესახებ, — ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომების, ავტონომიურ ოლქისა და რაიონულ (ქალაქის) საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეების თათბირი აღნიშნავს: 1939 წლის განათლების დარგის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანად რესპუბლიკაში 100,3% შესრულებისა (რითაც მიღწეულია მკვეთრი გარდატეხა 1938 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან შედარებით), ქვემდებარე დაწესებულებათა ქსელისა და სასკოლო ტიპის დაწესებულებებში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმების შესრულებაში, სასკოლო ქსელის გეგმაშეწონილად გაშლის და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცების დარგში ერთგვარი წარმატების მიუხედავად, განათლების ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ მთელი რიგი დეფექტებით ხასიათდება.

ადგილი აქვს ზოგიერთ ფრიად დიდი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებისათვის ბიუჯეტით განკუთვნილ თანხების აუთვისებლობას, არაა მთლიანად ათვისებული ბიუჯეტით დანიშნული სახსრები: საბავშვო ბაღების, სოცკულტსახლების, ქოხსამკითხველოების, ბიბლიოთეკების, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა, საბავშვო სახლებისა და მუზეუმების დარგში. თვით სკოლების ხაზითაც კი, სადაც წლიური დანიშნულება გადაჭარბებითაა შესრულებული, აუთვისებელია სკოლების მატერიალური ბაზისა და ხარისხობრივ მაჩვენებლების გასაძლიერებლად — (ბიბლიოთეკებისა, კაბინეტებისა, ლაბორატორიებისა და სხვა) გათვალისწინებული საგრძნობი თანხები. 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დანიშნულ თანხების შესრულებაში მოწინავე რაიონების (ვანის, გურჯაანის, თელავისა და სხვა) გვერდით არიან ისეთი რაიონებიც (ადიგენის, მაიაკოვსკის, გორის, მცხეთის და სხვა), რომლებიც ამ დარგში მუშაობისადმი ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობის შედეგად განსაკუთრებით ჩამორჩებიან.

მიუხედავად 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანად გადაჭარბებით შესრულებისა, მნიშვნელოვან დარგებში ადგილი აქვს ქსელისა და კონტინგენტის გეგმით დამტკიცებულ მაჩვენებლების შეუსრულებლობას (საბავშვო ბაღებში ბავშვთა კონტინგენტის გეგმა 1940 წ. 1/I—სათვის შესრულებულია 96,1%-ით, სკოლების ხაზით — 94,1%-ით საბავშვო სახლების—87,1%-ით, წერაკითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებში 74,1%-ით და სხვა).

1939 წლის გეგმური მაჩვენებლების შეუსრულებლობა არის მთელი რიგი განათ-

ლების განყოფილებათა და ქვემდებარე დაწესებულებების (სკოლების, საბავშვო ბაღების, საბავშვო სახლების და სხვა) ხელმძღვანელთა ჯერ კიდევ არა დამაკმაყოფილებელ მუშაობისა და ე. წ. განთესვის წინააღმდეგ საკმაო ეფექტიური ზომების მიუღებლობის შედეგი.

სკოლების ხაზით 1939 წლის მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესრულების საქმეში შედარებით უკეთეს მაჩვენებლებს იძლევიან ტყიბულის რაიონი (გეგმა შესრულებული აქვს 99,1%-ით), წულუკიძის რაიონი (99%-ით) და ჩხარის რაიონი (98,9-%ით), ხოლო ამ მიმართულებით განსაკუთრებით ჩამორჩებიან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (გეგმა შესრულებული აქვს 85,5%-ით), ბაშკიჩეთის რაიონი (88%-ით), ყაზბეგის რაიონი (88,1%-ით), ზემო-სვანეთის რაიონი (88,9%-ით), აჭარის ავტ. რესპუბლიკა (89,7%-ით) და აფხაზეთის ავტ. რესპუბლიკა (91,6%-ით).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგ განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს საკმაო ოპერატიული ხელმძღვანელობა მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებზე. როგორც ქსელისა და კონტინგენტის გეგმურ მაჩვენებლების შესრულებისა, ისე ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების დანიშნულებისამებრ—მიზანშეწონილად გამოყენების საქმეში.

მიუხედავად საქ. სსრ განათლების სახ. კომისარიატიდან 1939 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებისთანავე, როგორც ქსელის, კონტინგენტის, შტატების, ხელფასის ფონდის,—ისე ფინანსირებისა და სხვა მაჩვენებლების შესახებ დეტალურად დამუშავებული მასალებისა და ინსტრუქციის მიღებისა ზოგიერთ რაიგანათლ. განყოფილებებმა ვერ უზრუნველჰყვეს ყველა ქვემდებარე დაწესებულებები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით, ამის შედეგად ქვემდებარე დაწესებულებათა ხელმძღვანელების საკმაოდ დიდი რაოდენობა მოკლებული იყო—შესაძლებლობას სათანადო ყურადღება მიექცია მიცემულ გეგმურ დავალებათა შესრულებისა და განკუთვნილ თანხების მთლიანად და დანიშნულებისამებრ ათვისებისათვის.

განათლების განყოფილებათა საგრძნობ ნაწილს სკოლამდე არ დაჰყავს კლასების, კომპლექტებისა (ფინანსიურ კლასების) და მოსწავლეთა კონტინგენტის დამტკიცებული გეგმა, რის გამო ხშირად შეუძლებელი ხდება ცალკეულ სკოლების მიხედვით მათთვის ამ დარგში მიცემულ დავალებათა შესრულების პერიოდული შემოწმება და სკოლის დირექტორების (გამგეების) მხრივ მტკიცე პასუხისმგებლობის დაწესება სასკოლო ასაკის ბავშვთა სკოლაში ჩაბმისა და მათი სკოლაში ბოლომდე შენარჩუნების მიმართულებით.

თათბირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელ რიგ წლების მანძილზე საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარიატისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ სკოლების გეგმიანად გახსნის საკითხისადმი ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობის შედეგად და იმასთან დაკავშირებით, რომ დღემდე არაა აღმოფხვრილი სკოლებისა და კლასების უგეგმო გახსნის შემთხვევები ზოგიერთ რაიონებში (აჭარის ასსრ, გურჯაანის, გეგეჭკორის ვანის, წყალტუბოს და სხვა). დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლები გახსნილია მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა სასკოლო ქსელის გეგმაშეწონილად გაშლის პირობებში. მოუწესრიგებელია კლასების დაკომპლექტების საქმეც. არა საჭირო რაოდენობით იხსნება პარალელური კლასები განათლების განყოფილებებისა და სკოლის დირექტორების (გამგეების) მიერ (ქ. სოხუმის პირველ რუსულ საშუალო სკოლაში მე-5 კლასის 126 მოსწავლეზე გახსნილია 5-კლასი ნაცვლად საჭირო 3-კლასისა, მე-7 კლასის 114 მოსწავლეზე—4 კლასი, ნაცვლად 3-კლასისა, მე-8 კლასის 66—მოსწავლეზე 3 კლასი ნაცვლად 2-კლასისა და სხვა.

სასკოლო ქსელის საჭიროებაზე მეტი რაოდენობით გაშლა და პარალელური კლასების არა სწორად დაკომპლექტება იწვევს სახელმწიფო სახსრების საგრძნობლად დიდი რაო-

დეწობის უყაირათო და არა მომჭირნეობით ხარჯვას.

თათბირი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის უხეშ დარღვევებს, როგორც განათლების განყოფილებათა, ისე სკოლების დირექტორებისა და გამგეების მხრივ — ყველგან არ ხდება სახსრების მომჭირნეობით ეფექტური და მიზანშეწონილი გამოყენება. ხშირია საშტატო-საგანაკვეთო დისციპლინის დარღვევათა, მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ხელფასის არა სწორი ტარიფიკაციის, შვებულების ნაცვლად კომპენსაციების გაცემისა, ინვენტარის განიავების, თანხების მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევები, რაც ზოგჯერ ასეულათას მანეთებს აღემატება.

1940 წლის განმავლობაში საგეგმო-საბიუჯეტო მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისა, არსებული სასკოლო ქსელისა და კლასების დაკომპლექტების საქმეში მოწესრიგებისა, ახალი სკოლების გეგმაშეწონილად გახსნისა და საბიუჯეტო საფინანსო დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად,—თათბირს აუცილებლად მიაჩნია მიღებული იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

1. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ სს რესპუბლიკათა განსახკომებმა, ავტონომიური ოლქისა და ყველა რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებათა გამგეებმა 1940 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული პროექტის მიღებამდე, ფაქტიური მდგომარეობის გულდასმით შესწავლის საფუძველზე, ცალკეულ სკოლების მიხედვით უნდა დაადგინონ კლასების, კომპლექტებისა და მოსწავლეთა კონტინგენტის რაოდენობა, ქვემდებარე დაწესებულებათა ქსელი და დამტკიცებული გეგმის მიღებისთანავე დაიყვანონ თვითეულ სკოლამდე და დაწესებულებამდე ქსელის, კლასებისა და კონტინგენტების დაზუსტებული გეგმა და უზრუნველყონ ისინი დამტკიცებულ ინდივიდუალური ხარჯთაღრიცხვებით.

ქვემდებარე დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების დამტკიცებამდე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ხარჯთაღრიცხვების გულდასმით განხილვას და ბიუჯეტით მოცემულ თანხების დანიშნულებისამებრ განაწილებას.

2. 1940/41 სასწავლო წლის დაწყებამდე 15-დღით ადრე ჩაატარონ თითოეული სკოლის მიხედვით კლასების დაკომპლექტება და ფაქტური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მოსწავლეებით დაუტვირთავ მცირერიცხვიან პარალელური კლასების შემჭიდროებისა და ახლომდებარე სკოლებს შორის შესაბამი კლასების მოსწავლეთა გადანაწილებით, მიღწეულ იქნეს გეგმით გათვალისწინებულ პარალელური კლასების დაკომპლექტების მაქსიმალურად შემცირება.

3. სასკოლო ქსელის გეგმაშეწონილად და უფრო რაციონალურად განაწილების მიზნით, და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში მომჭირნეობის მისაღწევად ჩატარდეს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ამჟამად არსებული ქსელის განლაგების ერთიანი შემოწმება. ამ მუშაობის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახლომდებარე სკოლების გამოვლინებას, რომლებიც არ არიან დატვირთული მოსწავლეთა საკმაო კონტინგენტით და რომელთა გაერთიანება ზიანს არ მოუტანს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარების საქმეს.

4. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების ახალი ქსელისა და კლასების გახსნა, დაწყებითი სკოლების არასრულ საშუალო სკოლებად და არა სრული საშუალო სკოლების საშუალო სკოლებად გადაკეთება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გათვალისწინებულია გეგმით და ამ ღონისძიებების გატარების აუცილებლობა საფუძვლიანად არის შესწავლილი.

5. აღკვეთილი იქნას მომავაში ზემდგომ სადირექტივო ორგანოების ნებართვის გადა კომპლექტების,—ისე სხვა დაწესებულებათა ქსელის გახსნა იმაზე მეტი რაოდენობით, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული, ამასთანავე განსაკუთრებული პირობებისა და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქ. სსრ განსახკომის ნებართვის გარეშე, არ იქნას დაშვებული სასწავლო წლის დაწყების შემდეგ გეგმით გათვალისწინებულ ახალი სკოლების გახსნა და კლასების დაკომპლექტება.

6. სოფლად ახალი არასრული საშუალო და საშუალო სკოლების გახსნის შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ სკოლების მატერიალური ბაზით (ბინა, კაბინეტი, სასწავლო ხელსაწყოები და ინვენტარი) უზრუნველყოფას და აღიკვეთოს ახალი სკოლების გახსნა ისეთ ადგილებში, სადაც სკოლის მუშაობისათვის არ არის შექმნილი მინიმალურად საჭირო პირობები მაინც.

7. ამჟამად არსებული სასკოლო ქსელის დაზუსტებისთანავე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მე-18 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე, მე-3 სტალინური ხუთწლედის დარჩენილი წლების მიხედვით დამუშავდეს თითოეულ რაიონში ახალი სკოლების გახსნისა და დაწყებითი სკოლის არა სრულ საშუალო სკოლად და არასრულ საშუალო სკოლის საშუალო სკოლად გადაკეთების გეგმა.

8. განათლების განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბიუჯეტის შესრულების საკითხს, დაამუშაონ ქვემდებარე დაწესებულებებიდან ყოველ კვარტალურად წარმოდგენილ განაცხადების საფუძველზე ცალკეულ ღონისძიებათა მიხედვით გასაწევი ხარჯების კვარტალური და თვიური საკასო გეგმები და უზრუნველჰყონ ამ გეგმის შესრულებაზე მტკიცე კონტროლის დაწესება.

9. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების დანიშნულებისამებრ ათვისებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასკოლო ქსელის, კლასებისა და, რაც მთავარია, სკოლის მოსწავლეთა, საბავშვო ბაღებისა და სხვა დაწესებულებათა კონტინგენტის გეგმის შესრულებას. ამ მიმართულებით ჩასატარებელი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებასთან ერთად მიღებულ იქნას ამომწურავი და ეფექტიური ზომები მოსწავლეთა განთესვის წინააღმდეგ.

10. მასწავლებელთა სატარიფო თანრიგის სწორად დადგენის უზრუნველსაყოფად აუცილებლად იქნას ცნობილი:

ა) შეიქმნას განათლების განყოფილებასთან მუდმივად მომქმედი სატარიფიკაციო კომისია, რომელშიც შევლენ: განათლების განყოფილების გამგე, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა კავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე და რაიონის ფინგანის წარმომადგენელი;

ბ) მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიკაციის გადასინჯვა და ამ მიმართულებით საჭირო მუშაობა ძირითადად დამთავრდეს ყოველწლიურად ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე; ხოლო იმ მასწავლებელთა ხელფასის ტარიფიცირება, რომლებიც სკოლაში ინიშნებიან სასწავლო წლის განმავლობაში, ამ მასწავლებლების სამუშაოზე დანიშვნისთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით;

გ) მასწავლებლები, რომლებიც არ წარმოადგენენ სატარიფიკაციო კომისიაში ცენზისა და სტაჟის დამადასტურებელ სათანადო დოკუმენტების დედნებს ან მათთან გათანაბრებულ სხვა დოკუმენტებს როგორც წესი, ტარიფიკაცირებული იქნან დაბალი თანრიგით და ხუთწლამდე პედაგოგიური სტაჟით;

დ) საქ. ასსრ განსახკომებმა ხელახლად და შევსებული სახით გამოსცეს სადირექტივო ორგანოების მიერ მასწავლებელთა და განათლების სხვა დარგის მუშაკთა ხელფასების შესახებ გამოტანილ დადგენილებათა და ინსტრუქციების კრებული და დაიყვანოს იგი თითოეულ სკოლამდე და დაწესებულებამდე;

ე) განათლების განყოფილებებმა სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა პირა-

დი საქმეები და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათი მოვლისა და შენახვის საკითხს.

**11. განათლების** განყოფილებათა გამგეებმა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ სისტემატურად თვალყური ადევნონ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, მიიღონ გადამჭრელი ზომები თანხების არამიზნობრივად—უყაირათოდ მხარჯველთა, გამფლანგველთა და ქონების გამნიავებელთა წინააღმდეგ, უზრუნველყონ თანხების დანიშნულებისამებრ მომჭირნეობით ხარჯვა და საბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის მტკიცედ დაცვა.

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა თავის საბიუჯეტო-საფინანსო საქმიანობაში განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ ამხანაგ მოლოტოვის მითითებებით, „...რომ ყველა ჩვენს მუშაკს მცირეს და დიდსაც ყოველთვის ახსოვდეს თავის პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე, ყოველთვის ახსოვდეს თავის მოვალეობა, გაუფრთხილდეს სახალხო დოვლათს და ყაირათიანად მოეპყრას მას, დაიცვას მომჭირნეობა ხარჯვაში და ნამდვილად გაუფრთხილდეს სახალხო კაპეიკებს“.

განათლების დარგის მუშაკთა ამოცანა, რომელთაც სახელმწიფოს მიერ სახალხო განათლებისათვის განკუთვნილი მილიონების ხარჯვა აქვთ მინდობილი, იმაში მდგომარეობს, რომ მტკიცედ შეითვისონ ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურის, დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, ამხანაგ მოლოტოვის ეს მითითება და საქმით განახორციელონ იგი.

**15 მაისი—1940 წ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ავტონომიურ რესპ. განსახკომებს და ავტ. ოლქის განათლების განყოფილებას.

## ყველა რაიონის განათლების განყოფილებების, საკლუბო და სამუზეუმო დაწესებულებათა გამგეებს.

მიმდინარე წლის აპრილსა და მაისში გამოქვეყნდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ისტორიული დადგენილებანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის კანონები, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის, კოლმეურნეობათა შეძლებულობის შემდგომი ზრდისა და გაძლიერებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში" ავალდებულებს კოლმეურნეობებს, რომ მათ მეცხოველეობის პროდუქცია—ხორცი,—რძე, მატყლი, ბრინზა, ტყავის ნედლეული და კვერცხი სახელმწიფოს ჩააბარონ კოლმეურნეობებზე მიმაგრებული მიწის ფართობის (სახნავი მიწის, მათ შორის ბაღებისა და ბოსტნების, მდელოებისა და საძოვრების) თვითეული ჰექტარის მიხედვით.

1940 წლიდან დაწყებული კოლმეურნეობანი სავალდებულო მიწოდების წესით სახელმწიფოს აბარებენ ხორბალს, ბრინჯს, კარტოფილს, ბოსტნეულს, ზეთოვან კულტურათა თესლს, თივას და ბალახების თესლს—კოლმეურნეობებზე მიმაგრებული სახნავი მიწის თვითეული ჰექტარის მიხედვით, რაც დაწვრილებით გათვალისწინებულია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიმდინარე წლის აპრილის დადგენილებებში („კოლმეურნეობათა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის სავალდებულო ჩაბარების შესახებ", „კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ" და სხვ.).

ყველა ეს დადგენილება ისე, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებული „კანონი სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის შესახებ" და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება „მარცვლეული, პარკოსანი და საბურღული კულტურების, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების შესახებ"—წარმოადგენენ მძლავრ სტიმულს კოლმეურნეთა მასების ინიციატივის გაშლისა და სასოფლო-სამეურნეო ამოცანათა ბოლშევიკურად, სტალინურად, გადაჭრისათვის .

უდიდესი აღფრთოვანება და შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია სოციალისტურ საქართველოს მშრომელ მოსახლეობაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურის, მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ", რომელშიაც მოცემულია მზიური საქართველოს სოციალისტური სოფ-

ლის მეურნეობის შემდგომი აყვავების გრანდიოზული პროგრამა.

საკლუბო და სამუზეუმო დაწესებულებათა საბრძოლო ამოცანას შეადგენს ყოველმხრივ გაშალონ სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ყველა ზემოხსენებულ დადგენილებათა ახსნა-განმარტებისა და განუხრელად გატარებისათვის.

გამომდინარე აქედან, თვითეულ საკლუბო და სამუზეუმო დაწესებულებას ევალება:

1. მოაწყოს ზემოხსენებულ დადგენილებათა ხმამაღალი კითხვა და მუხლობრივი გაცნობა არა მარტო საკლუბო დაწესებულებაში, არამედ ველადაც, საკოლმეურნეო ბრიგადებში, რისთვისაც ფართოდ გამოიყენოს საკლუბო აქტივისტთა რიგებიდან გამოყოფილი, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ხმამაღალი მკითხველები.

2. აქტიურად გაშალოს საცნობო-საკონსულტაციო მუშაობა, მოაწყოს თემატური კითხვა-პასუხის საღამოები და ველად სამუშაო ადგილზევე მიაწოდოს კოლმეურნეებს სათანადო ცნობები ამ დადგენილებათა და მათი ცალკეული მუხლების გარშემო წამოჭრილ სხვადასხვა კითხვებზე.

3. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოაწყოს მოხსენებები და საუბრები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს ამ ისტორიულ დადგენილებათა უდიდესი როლისა და მნიშვნელობის შესახებ სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეობათა შეძლებულობის ზრდის საქმეში.

4. მოაწყოს საკლუბო დაწესებულებაში სტახანოველებთან, მოწინავე კოლმეურნეებთან შეხვედრის საღამოები ამ დადგენილებათა რეალიზაციისათვის ბრძოლაში მოპოვებული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

5. ყოველნაირად შეუწყოს ხელი კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეო ბრიგადებსა, რგოლებსა და აგრეთვე ცალკეულ კოლმეურნეთა შორის სოც. შეჯიბრების გაშლას მიმდინარე წლის უხვი მოსავლის აღებისათვის, დაეხმაროს მათ სოც. შეჯიბრების ხელშეკრულებათა შედგენაში და უახლოესი მონაწილეობა მიიღოს ხელშეკრულებათა მუხლების შესრულების შემოწმებაში.

6. კედლის გაზეთის საშუალებით სისტემატურად გააშუქოს ამ დადგენილებათა სარეალიზაციოდ ადგილზე წარმოებული მუშაობა.

კედლის გაზეთის თვითეულ კორესპონდენციაში ფაქტებზე დაყრდნობით ნათელყოფილი უნდა იქნას შრომის აღმავლობა, რომელიც კოლმეურნეთა მასებში გამოიწვია პარტიის და მთავრობის ზემოხსენებულ ისტორიულ დადგენილებათა გამოქვეყნებამ. ამასთანავე ნათელყოფილი უნდა იქნას, თუ როგორ გამოვლინდა შრომის ეს აღმავლობა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალ ხარისხში. ძირეულმა პრესამ სისტემატურად უნდა გამოავლინოს საკოლმეურნეო მინდვრების მოწინავე და ჩამორჩენილი ბრიგადები, რგოლები, ცალკეული კოლმეურნეები და სამეურნეო წარმატებების, შრომის ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშების პროპაგანდით ხელი შეუწყოს მათ მასობრივად გავრცელებას და ამის საფუძველზე კოლმეურნეობათა შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას.

7. უჩვენოს მოსახლეობას თემატურად შერჩეული კინო-ფილმები, რომლებიც ასახავენ საკოლმეურნეო ცხოვრების აღმავლობის ფაქტებს („ნარინჯის ველი“, „ტრაქტორისტები“, „დაგვიანებული სასიძო“ და სხვ.);

8. შექმნას აგროზოოტექპროპაგანდის წრეები იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არსებობენ, და გააძლიერონ უკვე არსებულთა მუშაობა, მათში ადგილობრივი აგრონომიული ძალების ჩაბმით.

9. სამხარეთმცოდნეო მუზეუმებმა მოაწყონ რაიონის, სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენები და გაუწიონ სათანადო კონსულტაცია საკლუბო დაწესებულებებს ამგვარი გამოფენების ორგანიზაციისათვის ადგილებზე.

განათლების განყოფილებებმა გაუწიონ საკლუბო დაწესებულებებს სათანადო მეთო-

40-324

დური დახმარება და მისცენ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული პრაქტიკული მითითებანი ზემოხსენებული დოკუმენტების გარშემო სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის დაყენებისა და გაშლის შესახებ.

განათლების განყოფილებებმა უზრუნველჰყონ რაიონის საკლუბო დაწესებულებათა შორის სოცშეჯიბრების გაშლა პარტიისა და მთავრობის მიერ მიმდინარე წლის აპრილში და მაისში გამოქვეყნებულ დადგენილებათა განხორციელებაში აქტიურ მონაწილეობაზე და პერიოდულად მოახდინონ შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებას.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი.

**გ. ქიქნაძე**

საკლუბო და სამუზეუმო-სამხარეთმცოდნეო სამმართველოს უფროსი

**ა. გაბისონია**

---

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია — პ/მგ. მდივანი ხ. ცაიშვილი

გადაეცა წარმოებას 20/VII 40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII 1940 წ.
მთავლიტის რწმუნებულის № ვ—1691 შეკვეთის № 2101 ტირაჟი 5.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა" რუსთაველის პრ. № 36.

## СБОРНИК № 7
### РАСПОРЯЖЕНИЙ И ПРИКАЗОВ НАРКОМПРОСА